პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 4 (7811)
6 იანვარი,
კვირა,
1985 წ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 3 კაპ.

გიწვევთ კიროვის პარკში!

ნოემბრის დამდეგს „ლელომ" თავის მკითხველებს სიხარულით აუწყა, რომ თბილისს შეემატა კიდევ ერთი შესანიშნავი სპორტული ნაგებობა — განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის კალათბურთის სკოლის დარბაზი. 50-იან წლებში კიროვის პარკი ჩვენი დედაქალაქის სპორტული ცხოვრების ნამდვილი ცენტრი იყო და მით უფრო სასიამოვნოა, რომ ახლა პარკის „სპორტული ტრადიცია" ერთგვარად აღორძინდა.

გუშინ განახლებულ დარბაზში საზეიმოდ გაიხსნა 1971-72 წლებში დაბადებულ ნორჩ კალათბურთელთა საკავშირო პირველობის ზონალური ტურნირი. თბილისში საასპარეზოდ ჩამოვიდნენ ლენინგრადის, ლატვიის, ყაზახეთის, ყირგიზეთისა და რსფსრ-ის ბიჭებისა და გოგონების ნაკრები კოლექტივები. დანარჩენი გუნდები ფინალური ტურნირის 2-2 საგზურისთვის ტალინსა და ბელგოროდში იბრძვიან.

გოგონათა შეჯიბრებაში საქართველოს ღირსებას იცავს რესპუბლიკურ პირველობაში გამარჯვებული გუნდი — განათლების სამმართველოს კალათბურთის სკოლის კოლექტივი, რომელსაც ომარ ლებანიძე ხელმძღვანელობს. ასპარეზობის პირველ დღეს ჩვენი გოგონები რუსეთის ფედერაციის საკმაოდ ძლიერ ნაკრებს შეხვდნენ. დაძაბული მატჩი დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით — 60:48.

ჩვენი ბიჭების გუნდი დაკომპლექტებულია ამ ასაკის კალათბურთელთა შორის საქართველოს უძლიერესი გუნდის — „მართვეს" ბაზაზე. ამ კოლექტივმა, რომელსაც ახალგაზრდა მწვრთნელი ავთანდილ ჩხიკვაძე უდგას სათავეში, გუშინ დაამარცხა რსფსრ-ის ნაკრები ანგარიშით 79:30.

ტურნირის პირველ დღეს სხვა მატჩები ასე დამთავრდა: **გოგონები.** ლატვია — ლენინგრადი 43:34, ყაზახეთი — ყირგიზეთი 45:44; **ბიჭები.** ლენინგრადი — ლატვია 45:25, ყაზახეთი — ყირგიზეთი 51:48.

დღეს ამ საინტერესო შეჯიბრების მეორე ტურია. კიროვის პარკში მდებარე ახალ დარბაზში 11 საათიდან უშეღავათო, მიმზიდველი ორთაბრძოლები დაიწყება. ვიმედოვნებთ, რომ კალათბურთის ქომაგები სათანადო ინტერესს გამოიჩენენ ნორჩი სპორტსმენების შეჯიბრებისადმი.

დავით ქავთარაძე.

* * *

სურათზე: თამაშობენ ყაზახეთისა და ყირგიზეთის გოგონათა გუნდები.

ჯემალ კასრაძის ფოტო.

ლენინის სახელობის თბილისის სპორტულ დარბაზში გრძელდება 1969-70 წლებში დაბადებულ გოგონათა და ჭაბუკთა საკავშირო პირველობა ფრენბურთში (ზონალური ტურნირი).

შეჯიბრების მესამე დღეს ჩვენი გოგონები დამარცხდნენ ყირგიზეთის გუნდთან — 2:3, ჭაბუკებმა კი მოუგეს ყაზახ სპორტსმენებს — 3:0.

დღეს ტურნირის მონაწილენი ისვენებენ. სათამაშო დარჩა ორ-ორი მატჩი. გოგონები შეხვდებიან მოსკოვისა და რსფსრ-ს ძლიერ გუნდებს, ჭაბუკებს კი საპასუხისმგებლო თამაშები ელით ასევე ზონის ფავორიტებთან — ესტონელ და მოსკოველ ფრენბურთელებთან.

მოფარიკავეთა საკავშირო შეჯიბრება „მართვეს" პრიზზე

უპირატესობა რეალური ჩანდა

ნორჩ მოფარიკავეთა ორთაბრძოლები როგორღაც უფრო მშვიდად, „ზედმეტი ხმაურის" გარეშე მიმდინარეობს, ვიდრე ნაცადი, გამოცდილი ოსტატებისა. საქმე მარტო კლასში განსხვავება როდია. ჭაბუკ სპორტსმენებში ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არის ჩამოყალიბებული მოფარიკავის მებრძოლი, შეუპოვარი, ფეთქებადი ხასიათი. ისინი თავიანთ გრძნობებს უფრო მორიდებით გამოხატავენ, თვით შეძახილებშიც კი. უფროსების წინაშე კრძალვასაც თავისი გაჰქვს და, თუმცა ზოგჯერ მსაჯის გადაწყვეტილებას გულში არ ეთანხმებიან, უსიტყვოდ ჩამოიფარებენ ხოლმე სახეზე ნიღაბს და ბრძოლას განაგრძობენ. საერთოდ კი პატარები უფროს კოლეგებზე ნაკლები თავგამოდებით არ იბრძვიან და არც ნაკლები აზარტით უელავთ თვალები...

როგორც გაცნობეთ, ჟურნალ „მართვეს" პრიზის საკავშირო გათამაშების პირველი დღის შეხვედრებს უნდა დაესახელებინა ორი გამარჯვებული ხმლით მოფარიკავეთა შორის. უფროსი ასაკის სპორტსმენთა შეჯიბრებაში (1969-71 წლებში დაბადებულნი) მასპინძელთა უპირატესობა უფრო რეალური ჩანდა. აქ ფინალში გავიდა ჩვენი რესპუბლიკის ოთხი წარმომადგენელი: კახა მახარაძე, დავით ხუნდაძე, ზურაბ იოსებიძე და ახლო წარსულში ცნობილი მუშკეტერის გურამ ლორთქიფანიძის ვაჟი არჩილი. შემდეგ მახარაძემ ადვილად დაამარცხა კიეველი ვ. კრიუჩკოვი (10:5), ლორთქიფანიძემ შეუპოვარ ბრძოლაში სძლია ერევნელ ა. შაგინიანს (10:5), იოსებიძემ კი ხუნდაძეს აჯობა (10:6). თავიდანვე წარმატებით ასპარეზობდა ლენინგრადელი მ. იურგენსონი, თუმცა ნახევარფინალში ლორთქიფანიძის დამარცხებას დიდი ძალა შეალია (10:8).

ძნელია 15 წლის მოფარიკავეს გამოცდილი უწოდო, მაგრამ კახა მახარაძეს მეტოქეებთან შედარებით ამ მხრივ აშკარა უპირატესობა ჰქონდა. საქმე ისაა, რომ კახა მოსწავლეთა XVII საკავშირო სპარტაკიადაშიც მონაწილეობდა, სადაც მასზე 2-3 წლით უფროსი სპორტსმენები გამოდიოდნენ, არც საქართველოს მოზრდილთა პირველობებს აკლდებოდა და საკავშირო თასის გათამაშებაშიც გამოიჩინა თავი. მას ახლაც არ გასჭირვებია ფინალში გასვლა. ნახევარფინალში კახას შედარებით სერიოზული წინააღმდეგობა გაუწია თანაგუნდელმა იოსებიძემ (7:10), ფინალში კი მასთან იურგენსონიც დამარცხდა (5:10). „ჩემზე გამოცდილია და ოსტატობითაც მჯობნისო, — გულახდილად თქვა ბრძოლის შემდეგ ლენინგრადელმა მოსწავლემ. ისე, რომ კახა მახარაძის გამარჯვება ამ მეტად საინტერესო და ძნელ ტურნირში კანონზომიერი იყო.

გახარებულნი იყვნენ ხიმკელი მწვრთნელი ევგენი რეშეტოვი და მისი მოწაფე ვიტალი ლაზარევი. 13 წლის ვიტალიმ პირველად მოიგო ტურნირი — ყველას აჯობა უმცროსი ასაკის მოფარიკავეებში. შეჯიბრება წრიული სისტემით ჩატარდა და ხიმკელმა მოსწავლემ ყველაზე მეტი შეხვედრა მოიგო. მეორე ადგილზე გავიდა ლენინგრადელი ფ. ტოლკაჩოვი, მესამეზე — თბილისელი ზ. ქორიძე.

სურათზე: კახა მახარაძე.

გუშინ საღამოს დამთავრდა ჭაბუკ რაპირისტთა ფინალური შეჯიბრება. პირველი ადგილი დაისაკუთრა თბილისელმა სპორტსმენმა ოლეგ ჩერნიშოვმა.

მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში

ყაიმი სვლების გამეორებით

როგორც ვიუწყებოდით, 4 იანვარს მოსკოვში, მსოფლიო პირველობაზე კარპოვ — კასპაროვის მატჩის ოცდამეთვრამეტე პარტია ყაიმით დამთავრდა. კვლავ ლიდერობს ანატოლი კარპოვი — 5:1 (+5—1=32).

გთავაზობთ ამ პარტიას:

ოცდამეთვრამეტე პარტია
კასპაროვი — კარპოვი

ლაზიერის გამბიტი

1. d4 მf6 2. c4 e6 3. მf3 d5 4. მc3 კe7 5. კg5 h6 6. კh4 0—0 7. e3 b6 8. კe2 კb7 9. კ:f6 კ:f6 10. cd eb 11. b4 c5 12. be bc 13. ეb1 კc6 14. 0—0 მd7 15. კb5 ლc7 16. ლc2 ეfd8 17. ეfc1 ეab8 18. a4 ლd6 19. dc მ:c5 20. კ:c6 ლ:c6 21. მb5 კe7 22. ლf5 ლe8 23. მe5 ეb7 24. მd4 ეc7 25. მb5 ეb7. ყაიმი.

ჭადრაკის ისტორიამ არ იცის მეორე ასეთი მარათონული მატჩი მსოფლიო პირველობაზე. იგი თითქმის ოთხი თვეა გრძელდება და არაფერია გასაკვირი, რომ მეტოქეები ერთსა და იმავე სადებიუტო სისტემას რამდენიმეჯერ მიმართავენ. ჟურნალისტებმა შეამჩნიეს, რომ ოცდამეთვრამეტე პარტიაში გამეორდა შარშან, 84 დღის წინათ გათამაშებული მეთორმეტე პარტიის პირველი თხუთმეტი სვლა. მე-16 სვლაზე კასპაროვმა სხვა გაგრძელება აირჩია, რამაც ორმოციოდე წუთით ჩააფიქრა მსოფლიო ჩემპიონი. კარპოვმა დამაჯერებლად განაგრძო თამაში, მაგრამ მე-18 სვლაზე ისევ შეიქმნა პოზიცია მეთორმეტე პარტიიდან. პრეტენდენტმა ამჯერადაც ახლებურად ითამაშა. მაგრამ კარპოვმა ახლაც თანაბარი პოზიცია შეინარჩუნა. კასპაროვმა აღარ ისურვა თამაშის გართულება, სვლების გამეორება დაიწყო და პარტიაც ყაიმით დასრულდა.

დღეს, 6 იანვარს, მოჭადრაკეები ისვენებენ. ხვალ, 7 იანვარს, უნდა გაიმართოს ოცდამეცხრამეტე პარტია.

ინფორმაცია

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

გუშინ...

მოსკოვში კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „დინამო" და რიგის ვეფ-ი. გაიმარჯვეს თბილისელებმა — 86:74.

• • •

კაუნასის ჟალგირისმა 4 იანვარს ლენინგრადის „სპარტაკმა" მოუგო კიევის არმიელთა კოლექტივს 85:77. გუშინ არმიელები კვლავ დამარცხდნენ — ამჯერად „ჟალგირისთან" — 76:93.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 5 იანვრისთვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
„ჟალგირისი" (კაუნასი)	15	13	2	1461-1256	28
ცსკა	15	13	2	1530-1174	28
„სპარტაკი" (ლენინგრ.)	15	9	6	1208-1169	24
„სტროიტელი" (კიევი)	15	7	8	1271-1349	22
ვეფ-ი (რიგა)	15	6	9	1313-1413	21
რტი (მინსკი)	15	5	10	1210-1246	20
„დინამო" (თბილისი)	15	4	11	1280-1484	19
ასკ (კიევი)	15	3	12	1222-1409	18

აწმყო, შობილი წარსულისაგ

ვლადიმერ უგრეხელიძ

ვლადიმერ უგრეხელიძე კალათბურთელი იყო, მაგრამ ეს ძუნწი ფრაზა არაფერს ან თითქმის არაფერს ეუბნება იმათ, ვისაც იგი მოედანზე არ უნახავს. უგრეხელიძისთვის კალათბურთი არ ყოფილა მარტოოდენ თამაში, არც მხოლოდ კონკურენცია, თავისი თავის გამოხატვის საშუალება, გამარჯვება ან დამარცხება, სიხარული ან გაწბილება; მისთვის კალათბურთი იყო რაღაც უფრო მეტი, რაც ალბათ ყველაზე უკეთ გამოიხატება სიტყვა „მოწოდებით".

დიახ, კალათბურთში იყო ვლადიმერ უგრეხელიძის მოწოდება.

ისევე, როგორც ბევრ თბილისელს, მეც მუდამ მაცვიფრებდა მისი თამაში. იყო უგრეხელიძის მოძრაობაში, მიმოხრაში, ტყორცნაში, ტექნიკასა და ტაქტიკურ აზროვნებაში რაღაც მხოლოდ მისთვის ნიშანდობლივი და სპეციფიკური. მაგრამ ყველაზე მეტად მაყურებელი ალტაცებაში მოჰყავდა მის ფენომენალურ ნახტომს. იგი ძალდაუტანებლად აიჭრებოდა ხოლმე ჰაერში, მაგრამ დაშვებას არ ჩქარობდა. ამ დროს ჰაერში სასწაული ხდებოდა: უგრეხელიძეს იქ თითქოს თავისი საკუთარი ლაბორატორია ჰქონდა: განსაცვიფრებლად ხანგრძლივი ყოფნა ჰაერში, ცხადია, საკმარისი იყო, რომ ამ დროს სპორტსმენს თავისი საკალათბურთო საქმეები ეკეთებინა (ჰაერში!): ნახტომისათვის ახალი, დამატებითი ნახტომი მიეყოლებინა, უფრო ახლოს მისულიყო კალათთან, შემობრუნებულიყო ნებისმიერი მიმართულებით, დაეხედა ქვევით დარჩენილი მეტოქეებისა და პარტნიორებისათვის, შეეფასებინა სიტუაცია და მხოლოდ ამის შემდეგ ეტყორცნა მოწინააღმდეგის კალათში ან „მოეხსნა" ფარიდან არეკლილი ბურთი! მსგავსი ფენომენი ქართველ მაყურებელს ალბათ არასდროს უნახავს.

ახლა როგორღაც მოიშალა და გადავარდა ერთი მეტად საგულისხმო ტრადიცია, რომელიც ათეული წლების მანძილზე ამშვენებდა ჩვენს სპორტულ მოძრაობას. ნებისმიერი სახეობის ცნობილ, პოპულარულ წარმომადგენლებს გულშემატკივარი სიყვარულით შერქმეულ მეტსახელს ეძახდა. ეს მეტსახელი მუდამ ზუსტი და მახვილგონივრული იყო, თანაც მაქსიმალურად გამოხატავდა ამა თუ იმ სპორტსმენის უმთავრეს თვისებას. ასე დაერქვა უგრეხელიძეს „პტიცა". მის შემხედვარეს მართლაც გაგაოცებდათ ადამიანისა და ფრინველის უჩვეულო მსგავსება.

უგრეხელიძე „საჰაერო კალათბურთელი" იყო. ის, რასაც სხვანი „ხმელეთზე" აკეთებდნენ, უგრეხელიძეს ჰაერში გადაჰქონდა. შეიძლება ამის გამო იგი არ დაამახსოვრებია, როგორც, მაგალითად, დრიბლინგის ან ცრუ მოძრაობის ოსტატი. სპორტსმენი თითქოს გუმანით ხვდებოდა, რომ ეს „მისი საქმე" არ იყო და არასოდეს დაუპირებია მოედანზე გაეკეთებინა ის, რაც სხვას უკეთესად შეეძლო. ეს მარტო გუმანი არ ყოფილა; ეს იყო სპორტული ეგოიზმის სრული უგულებელყოფა და კალათბურთის დახვეწილი, თვალში საცემი კულტურა. ეს კულტურა თანდაყოლილი იყო, თუმცა უგრეხელიძე-კალათბურთელის ჩამოყალიბებაზე არაერთ გამოჩენილ მწვრთნელს უზრუნია. მათ შორის ვლადიმერი განსაკუთრებით გამოყოფს ქართული კალათბურთის ორ დიდებულ მოღვაწეს — მიხეილ კეკელიძესა და გიორგი ავალიშვილს.

მიხეილ კეკელიძე რომ არა, შეიძლება უგრეხელიძე კალათბურთში არც მოსულიყო; და თუ მაინც მოვიდოდა, ნამდვილად არ იქნებოდა ისეთი სპორტსმენი, როგორსაც კალათბურთის სამყარო იცნობდა. რაც უნდა ვთქვათ, პირველ მწვრთნელს მაინც დიდი და თითქმის გადამწყვეტი მნიშვნელობაც კი აქვს სპორტსმენის ჩამოყალიბებისათვის, მისი ყველაზე ძლიერი თვისებების შემჩნევისა და განვითარებისთვის. პირველი მწვრთნელის ფუნქცია — ეს არის მომავალი დიდი სპორტსმენისათვის აუცილებელი, ზუსტად მონახული კალაპოტის შერჩევა. მომდევნო ეტაპები ერთხელ და სამუდამოდ დაძებნილ მიმართულებას ექვემდებარება. მერე და მერე უფრო იხვეწება, მრავალფეროვნდება, ძლიერდება და საბოლოოდ სრულყოფას აღწევს. მაგრამ, ვიმეორებ, ყოველივე ამას ბალავრად პირველი მწვრთნელის ნამოღვაწარი უდევს.

ასეთი პირველი მწვრთნელი კალათბურთელ უგრეხელიძის ცხოვრებაში მიხეილ კეკელიძე იყო.

საერთოდ, კეკელიძე ალემატებოდა ჩვენს ჩვეულებრივ წარმოდგენას მწვრთნელზე; ეს იყო ზედმიწევნით განსწავლულ-განათლებული ადამიანი, უაღრესად სამართლიანი და, ამავე დროს, მკაცრი ხასიათისა, ზრდილი და ერთდროულად „ხორკლიანი", დიდსულოვანი და საჭიროების შემთხვევაში ზედმიწევნით კატეგორიული, დამთმობი, მაგრამ არა ყოველთვის.

აი, ასეთმა მწვრთნელმა მოჰკიდა ხელი უგრეხელიძის დაოსტატებას. როგორც ბევრმა სპორტსმენმა, ვლადიმერმაც ერთბაშად როდი მიაგნო თავის მოწოდებას. თუმცა მისი საუცხოო მონაცემები, ეტყობა, სხვებისთვისაც არ დარჩენილა შეუმჩნეველი, რადგან იგი კალათბურთამდეც „საჰაერო სპორტთან", ფრენბურთთან იყო დაკავშირებული. მაგრამ მწვრთნელი შოთა მარგიშვილი წინააღმდეგი არ წასულა, როცა მისმა ნიჭიერმა მოწაფემ „პროფილი" შეიცვალა და ფრენბურთი კალათბურთზე „გაცვალა". ცნობილი არიან ამ ამბის მონაწილეებიც — შოთა მარგიშვილზე უკვე მოგახსენეთ; კალათბურთში კი უგრეხელიძე თავისი სიყრმის მეგობრის კობა ჯინჯიხიას დახმარებით მივიდა: სწორედ ის გახლდათ მისთვის ამ თამაშის პროპაგანდისტი.

— იმ დროს ძალიან გამხდარი ვიყავი. მიხეილ კეკელიძეს თავიდან გაუკვირდა და ჯინჯიხიას უთხრა, ეს ვინ მოგიყვანიაო. მერე შემომთავაზა, აბა, ფართან ახტიო. ჩემი ახტომა და მისი ალტაცებული შეძახილი: დამიტოვეთ, დამიტოვეთო — ერთი იყო. იმ პერიოდში ერთდროულად გამოვდიოდი ფრენბურთშიც და კალათბურთშიც. რაც შეეხება მიხეილ კეკელიძეს, ძია მიშას, მან გამიკვალა გზა დიდ კალათბურთში და ამას ვერასოდეს დავივიწყებ. განა იმიტომ, რომ ჩვენი ურთიერთობა — მწვრთნელ-შეგირდისა — დიდხანს გაგრძელდა. პირიქით, ჩვენ მალე დავშორდით ერთმანეთს, მაგრამ პირველი გაკვეთილები ჩემთვის წარუვალი მნიშვნელობისა აღმოჩნდა.

კეკელიძის სახელთან არის დაკავშირებული ჩემი პირველი გამოსვლა საკავშირო სარბიელზეც. მახსოვს, ეს იყო 1957 წელს, რიგაში ჭაბუკთა საკავშირო პირველობა ტარდებოდა. ახალწამოჩიტული ყმაწვილისათვის რას ნიშნავს ასეთი ტურნირი, ყველასათვის გასაგებია. ძალიან მოწადინებული ვიყავი, რომ ძია მიშასთვის იმედი არ გამეცრუებინა. შეჯიბრების წინ ავად გავხდი, მაღალი სიცხე მომცა. ძია მიშამ მიბრძანა, სასტუმროდან ფეხი არ მოიცვალოო. მეთორმეტე კაცად ვიყავი წაყვანილი და უჩემობა ალბათ იმდენად არ უნდა დასტყობოდა გუნდს. დავუჯერე, მაგრამ, როცა მარტო დავრჩი, ცდუნებას ვერ გავუძელი და სიცხიანმა ტაქსით მივაშურე დარბაზს. ძია მიშამ დამინახა, გაუკვირდა, მაგრამ აღარ დაუშლია ჩემთვის თამაში. რამდენი ხანი გავიდა მას შემდეგ, რამდენ გაცილებით მნიშვნელოვან მატჩში გამოვსულვარ, ის თამაში კი გამორჩეულად მახსოვს. ალბათ იმიტომ, რომ მაშინ ყველამ დაინახა, რაც მთავარია, თავადაც ვირწმუნე, რომ ნამდვილი კალათბურთელი ვიყავი... სხვათა შორის, სასწაული იყო თუ რა, მოგებული თამაშის შემდეგ გუნდთან ერთად სასტუმროში... საღ-სალამათი დავბრუნდი, სიცხე ნორმალური მქონდა.

ერთი ნაბიჯი სიჭაბუკიდან დიდ კალათბურთში: 1957 წელს ვლადიმერ უგრეხელიძეს თბილისის განათლების განყოფილების გუნდის მაისური ეცვა, ზუსტად ერთი წლის შემდეგ კი პერსპექტიული კალათბურთელი თბილისის „დინამოში" გადაიყვანეს. ერთი ნაბიჯი, რომელიც ერთი სამყაროდან მეორე, თითქმის სრულიად განსხვავებულ სამყაროში გადაადგილებას გულისხმობს. ეს იყო მძლავრი „დინამო": ოთარ ქორქია, ინწკირველი, კილაძე, ქლენტი, გვანცელაძე, გურამ აბაშიძე, მინაშვილი... ამ შესანიშნავ კალათბურთელებთან ერთად თამაში ვლადიმერ უგრეხელიძესათვის იყო დიდი გამოცდაც და დიდი სკოლაც. საერთოდ, უგრეხელიძეს თავისი სპორტული ბიოგრაფიის მანძილზე რამდენიმე თაობის წარმომადგენლებთან მოუხდა თამაში, მაგრამ ეს არასოდეს დასტყობია მათ კოლეგიალობასა და თანამშრომლობას; ყველა თაობასთან იგი საერთო ენას პოულობდა, არც უფროსი ყოფილა და არც უმცროსი. ეს არის კალათბურთელ უგრეხელიძის პორტრეტის ერთი საინტერესო და თავისებური შტრიხი: იგი მუდამ თანამედროვე იყო თავისი სათამაშო პრინციპებითაც და გუნდის წევრებთან ურთიერთდამოკიდებულებითაც. შესაძლოა, მის ამ თვისებას ისიც განსაზღვრავდა, რომ მას მუდამ ჰქონდა დაჯავშნული ადგილი ძირითად შემადგენლობაში და ამიტომ უაღრესად კეთილგანწყობილი იყო თავისი კოლეგებისადმი.

„დინამოში" უგრეხელიძეს დახვდა შესანიშნავი მწვრთნელი გიორგი ავალიშვილი, რომელმაც დიდი კვალი დაამჩნია ქართული კალათბურთის განვითარებას. სწორედ ამ მწვრთნელის მოღვაწეობის წლებთან არის დაკავშირებული ჩვენი ეროვნული კალათბურთის თვალსაჩინო მიღწევები. მაგრამ არანაკლებ საჩინოა გიორგი ავალიშვილის, როგორც პედაგოგისა და აღმზრდელის, დამსახურება. მართალია, მაშინ ქართულ კალათბურთს, კერძოდ, თბილისის „დინამოს" ბევრი წყარო ასაზრდოებდა, მაგრამ ერთია, როცა პერსპექტიული მოთამაშეები მოდიან მწვრთნელთან, და სულ სხვაა, როცა ისინი მისი ხელმძღვანელობით უმაღლესი დონის კალათბურთის ორბიტაზე გადიან. ავალიშვილის ხელში არც ერთი ნიჭიერი კალათბურთელი არ „გაფუჭებულა".

— ჩემთვის გიორგი ავალიშვილი სისპეტაკისა და პატიოსნების განსახიერება იყო. მისგან ბევრი გაკვეთილი მივიღე — ფსიქოლოგიურიც, მორალურიც, მოქალაქეობრივიც და ადამიანურიც. ამ ღვთისნიერი კაცის კრედო გახლდათ: ჯერ ადამიანები უნდა იყოთ და მერე კალათბურთელებიო. მწვრთნელის ასეთი თვალსაზრისი დიდად მოქმედებდა გუნდის მორალურ და საბრძოლო ტონუსზე.

თითქმის თექვსმეტი წელიწადი დაჰყო საქართველოს უძლიერეს გუნდში ვლადიმერ უგრეხელიძემ. ბევრი, ძალზე ბევრი მატჩი ჩაატარა მან ფრიადზე.

იგივე შეიძლება ითქვას ქვეყნის ნაკრებში მის გამოსვლაზეც. სხვათა შორის, საბჭოთა კავშირის მთავარ გუნდში უგრეხელიძე ხუთი წლის მანძილზე გამოდიოდა და მის თამაშში შეჰქონდა მეტად თავისებური და თავისთავადი კოლორიტი, რომელიც მხოლოდ დიდ კალათბურთელებს მოსდგამთ. 1960 წელს მან და გურამ მინაშვილმა რომის ოლიმპიადის ვერცხლის მედალი მოიპოვეს, ხოლო შემდეგ წელიწადს ბელგრადში იგი ევროპის ჩემპიონიც გახდა. მაგრამ სრულიად უნიკალურია უგრეხელიძისთვისაც და ქართული კალათბურთისთვისაც 1962 წელს ჟენევაში მადრიდის „რეალთან" ფინალურ მატჩში გამარჯვების შემდეგ მოპოვებული ევროპის ჩემპიონთა თასი! დღეს თითქმის ლეგენდად წარმოგვიდგება ეს ტრიუმფული მიღწევა, რომელიც მნიშვნელობით ფეხბურთში 1981 წლის დიადი გამარჯვების ტოლფასია. შეუძლებელია ასეთი ტრიუმფის შემოქმედი კოლექტივი კვლავ არ აღორძინდეს. თუმცა, დავუბრუნდეთ ქვეყნის მთავარ ნაკრებს, რომლის შემადგენლობაში უგრეხელიძემ 1963 წელს ბრინჯაოს მედალი მოიპოვა რიო-დე-ჟანეიროში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში. განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება დატოვა მასზე ამერიკელ პროფესიონალთა თამაშმა. მას ერთბაშად გაუჭირდა კიდეც დაჯერება, რომ 1960 წლის ოლიმპიადაში შეერთებული შტატების ოლიმპიური ნაკრების საუკეთესო წევრი ოსკარ რობერტსონი და ის

რობერტსონი, რომელიც მ
ნებით უკვე პროფესიონალ
ნიუ-იორკის „მედისონ სკვე
დენში", ერთი და იგივე მო
იყო. რაც უნდა იყოს, ჯერ
ბით სამოყვარულო და პრო
ულ კალათბურთს შორის გ
ვება მაინც დიდია. ეს გან
რებით იგრძნობოდა სამოციან
ბში, როცა უგრეხელიძემ პ
კულად შეადარა კალათბურთ
ორი ნაკადი. დიდი კალათ
მის წარმოსახვაში რობერტს
ერთად დარჩა ფანტასტიკურ
კოუსის, ბილ რასელისა და
მაშის სხვა სასწაულმოქმედ
სრულებლების სახით.

რაც შეეხება საბჭოურ
ბურთს, უგრეხელიძეს ყველა
ტად მოსწონდა თბილის
გურამ აბაშიძის, გურამ მ
ლის, კაუნასელი მოდესტა
ლაუსკასისა და მოსკოველი
ვოლხოვის თამაში. მა
თითოეული მათგანი თავის
მოვლენა იყო სამოყვარუ
ლათბურთში. გუნდი კი, რ
წინააღმდეგაც მას განსაკუთ
უჭირდა თამაში, იყო კა
„ჟალგირისი".

უგრეხელიძის შემყურე ვ
იტყოდა, რომ იგი ღელავდა
იმესი ეშინოდა. სინამდვილეშ
იყო: მან არ იცოდა, რა იყო
რაც შეეხება მღელვარება
მას მოთელვაზევე ელოდა
გორც ზედმეტ ტვირთს.
ხშირად მოთელვა, როგორც
საკმარისი არ იყო უაღრესად
ციური კალათბურთელისათვი
ხომ თავიდანვე მთელი არ
ერთვებოდა თამაშში. და აი,
რედ მაშინ მას შეეძლო
ნიმე წუთში ჯარიმების თ
მთელი ლიმიტი ამოეწურა,
შემდგომ, ჭადრაკისა არ იყოს
ტიკულ მიჯნამდე მისული
ისრით, ანუ ერთადერთი ჯ
უფლებით ეთამაშა მატჩის
წუთამდე. მან, რა დასამალ
იცოდა, რა იყო სიფრთხილე;
ჯერ ამ რეაქტიული კალათბ
ლის მოქმედება უსწრებდა
არა იმიტომ, რომ ვერ აზრ
და — თვით კალათბურთის
სებური რიტმი აყენებს მო
ებს კრიტიკულ სიტუაციაშ
რეხელიძის თამაშის მანერა
მყარებული იყო სისწრაფეზე
წრებაზე, შეუკავებელ იე
მას ნიადაგ უხდებოდა რის
წევა, ზოგჯერ ამ სიტყვის პი
რი მნიშვნელობითაც კი.
ოლიმპიადაზე, საბჭოთა კავ
და პუერტორიკოს ნაკრები
ბის მატჩში მოხდა შემთხვევ
რო ჩვენი დღეების კალათბ
თვის დამახასიათებელი, რო
რზე ბრძოლამ სასტიკი ფ
მიიღო და იგი ზემალალ კა
რთელთა კონკურენციის
ლად იქცა. მაგრამ იმ დროს
წელს, ეს იყო მართლაც
ლო ამბავი. იმ მატჩს დამ
ლად იგებდა ჩვენი ნაკრები.
შის დამთავრებამდე 28 წამ
ბოდა. უგრეხელიძემ გად
ფარიდან ასხლეტილი ბურთ
ვისი სტილით" კალათში ჩ
ნებინა. „პტიცა" აიჭრა
პუერტორიკოელმა მცველმ
ვერაფერი იღონა, ჰაერში გ
ფეხს უნებურად წაეტანა
ნასწორობადაკარგული უგრ
ძე კალათს ჩამოეკიდა. თვალ
ხამხამებაში ფარის კონსტ
ჩამოიშალა და დაიმსხვრა.
სენეთ, რამდენი წამი იყო
ნილი მატჩის დამთავრებამდ
მაში ამ ინციდენტიდან 2
და 28 წამის შემდეგ დამთა
აი, უკვე მერამდენედ ვ
უგრეხელიძის უნიკალური
მი: იგი ძალდაუტანებლად
იოლად „აბჯენდა" თავს კა
რთის ფარს. ეს იმას ნიშნავ
შედარებით ტანმორჩილი (1
კალათბურთელი ბატონობდ
ვე ფართან და კონკუ
უწევდა თავისზე ბევრად მაღ



ს. სიტყვამ მოიტანა და შე- კალათბურთის მოყვარუ- ვის საინტერესო იყოს ასე- ტიც: სიმაღლეზე ხტომაში დ უვარჯიშებელი უგრეხე- 80 სანტიმეტრზე გადებულ გადაევლებოდა ხოლმე და ობაში... პოლიტექნიკური ტის ჩემპიონიც კი იყო. შეხედვით, მისთვის კალა- არ ყოფილა მძიმე და ლელი შრომა; ადვილად ლებოდა მოძრაობაც, პასიც. და კონტრიერიშიც. იყო ბუქეში, ამ ძალდაუტანე- და სილაღეში რაღაც სი- მოუთქმელი ელეგანტურო- იტყოდი, აშკარა, ხილული ბურთო არისტოკრატიზმი. ოს, იგი არ თაკილობდა ამუშაოს" შესრულებასაც: ინტერესებისათვის უგ- ეს მსხვერპლის გაღებაც გაიხსენეთ ჯერ კიდევ სი- როგორ გამოვიდა იგი მოედანზე. ეს ტიპიური იყო, რომელიც მთელი ლი ბიოგრაფიის მანძილზე

ლიძე ჩვენს წარმოდგე- ემიწევნით ინდივიდუალუ- ის მოთამაშე იყო. კოლე- თამაში თითქოს აგრერი- იზიდავდა, თითქოს ერთ- ამოყოფილიც იყო გუნდი- უმცა მის გარეშე წარმოუ- გამლდათ იმდროინდე- ამოს" ანსამბლი. მაგრამ ეში უგრეხელიძე თავი- სოლისტის როლს ასრუ- უნდში და ზეგარდმო ნი- ილდოებული „თავისუფა- ვრის" დარად უკვე დახა- რათში თავისი იშვიათი სილამაზის შტრიხი შეჰქონდა. უამშტრიხოდ, რაშიც ხშირად დავრწმუნებულვართ, დინამოელთა თამაშს აკლდებოდა ძალაც, სილამაზეც და შედეგიც.

თანაგუნდელებს უყვარდათ უგრეხელიძესთან თამაში: იგი სიტყვაძუნწი იყო, მუდამ კორექტული, კეთილგანწყობილი, ყოველგვარ მენტორობასა და ყოყოჩობას მოკლებული, ვერცხლისწყალივით დაუდეგარი; მისი აღელვება მეტად უჩვეულო რამ გახლდათ მაყურებლისთვის, თანაგუნდელებისთვის, მეტოქეებისათვის, მსაჯებისთვისაც კი. ემოციური კალათბურთელი არასოდეს გამოხატავდა უკმაყოფილებას და მძაფრ სიტუაციებში მხოლოდ უმატებდა და უმატებდა თამაშს!

ასეთ წუთებში მის ყურებას არაფერი ჯობდა! კაცი ჰაერში ფრინავდა, ნემსის ყუნწში ძვრებოდა— ვერავითარი დაცვა ვერ აკავებდა, ერთბაშად ატრიბოდა ჰაერში, ოდნავ უკან გადაიხრებოდა, რათა საბოლოოდ ჩამოეშორებინა მეტოქის აწვდილი ხელები და უფრო ზუსტად დაემიზნებინა ბურთი კალათისათვის; იგი ქარივით დაქროდა, მას უყვარდა კალათბურთიც, დარბაზიც, პატიოსანი მეტოქეობაც; იგი კალათბურთით ცხოვრობდა.

...ჩვენ დიდხანს ვსაუბრობდით; ვიგონებდით აქეთურ-იქითურს, ვიგონებდით სამოციან-სამოცდაათიანი წლების კალათბურთსა და მის ბრწყინვალე წარმომადგენლებს. ეს იყო მოგზაურობა აწ უკვე გარდასულ და ამიტომ წინანდელზე უფრო რომანტიკულ დროში.

არჩილ მხეიძე.

ვინ მოიპოვა მედლები

ვაჟთა პირველ დაფაზე ოქროს მედალი მიეკუთვნა ოსტატ ვან ტილბურის (ვირჯინიის კუნძულები), რომლის პირადი კოეფიციენტი 2260 გახლავთ. ვან ტილბური ყველაზე სუსტ მონაწილეებს ხვდებოდა და 11 პარტიაში 9,5 ქულა მოაგროვა. მეორე ადგილზე იყო მალტელი ოსტატი ბორგი (9 ქულა 11-დან). საბჭოთა დიდოსტატმა ალექსანდრე ბელიავსკიმ ბრწყინვალე შედეგს მიაღწია მსოფლიოს უძლიერეს დიდოსტატებთან ჭიდილში — 10-დან 8 ქულა დააგროვა და მცირე ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა.

მეორე დაფაზე ბრწყინვალე შედეგით — 11-დან 10 ქულით გაიმარჯვა ინგლისელმა დიდოსტატმა ნანმა. მომდევნო ორ ადგილზე ნაკლებად ცნობილი ოსტატები არიან: მცირე ვერცხლის მედალი დარჩა კუპერს (ახალი ზელანდია) — 9 ქულა 11-დან, ბრინჯაოს მედალი — რაფაელს (ტრინიდადი) — 9,5 ქულა 12-დან. ლევ პოლუგაევსკის შედეგია 10-დან 7 ქულა.

მესამე დაფაზე 10-დან 8,5 ქულით ყველას აჯობა რაფაელ ვაჰანიანმა. მეორე ადგილი დარჩა ისლანდიელ ოსტატ ბელენსის — 8 ქულა 11-დან, მესამე იყო მოროვიჩი (ჩილი) — 13-დან 9 ქულა.

მეოთხე დაფაზე გაიმარჯვა კიმპრაიონმა (კიპროსი) — 8 ქულა 10-დან. მეორე ადგილზეა პოუელი (იამაიკა) — 7 ქულა 9-დან, მესამეზე — ლოჰეაკი (ლიბანი) — 8,5 ქულა 11-დან.

პირველ სათადარიგოთა შორის გაიმარჯვა პინტერმა (უნგრეთი) — 7 ქულა 9-დან. ასეთივე შედეგი ჰქონდა მესტელს (ინგლისი). მეორე სათადარიგო მონაწილეთა შორის საუკეთესო იყო ხინინგსი (ეკვადორი) — 7,5 ქულა 10-დან.

ქალთა შორის პირველ დაფაზე გაიმარჯვა კრამლინგმა (შვეცია) — 10,5 ქულა 13-დან. მეორე ადგილი დარჩა არგენტინელ ჰიუსტონს — 8,5 11-დან. მცირე ბრინჯაოს მედალი დარჩა ვერეცი-პეტრონიჩს (უნგრეთი) — 9,5 ქულა 13-დან.

მეორე დაფაზე ყველაზე კარგი შედეგი აქვს როსს (აშშ) — 9 ქულა 13-დან, ასეთივე შედეგი აჩვენა პოლიქრონიადემ (რუმინეთი). მესამე იყო ჰოლანდიელი ბერგი — 11 შესაძლებლიდან 7,5 ქულა.

მესამე დაფაზე გაიმარჯვა ჟავეზმა (ბრაზილია) — 9 ქულა 10-დან, მეორე იყო მსოფლიოს ექსჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი — 8,5 ქულა 10-დან, მესამე — სმილი (ვენესუელა) — 7 ქულა 9-დან.

და ბოლოს, სათადარიგოთა შორის ყველაზე მაღალი შედეგი ჰქონდა ლიდია სემიონოვას, რომელმაც 10 პარტიაში 9,5 ქულა მოაგროვა. მეორე იყო მარკოვიჩი (იუგოსლავია) — 6,5 ქულა 9-დან.

12 ჩემპიონის 31 მატჩი

(სტატისტიკოსის უბის წიგნაკიდან)

დღემდე მსოფლიოს თორმეტმა ჩემპიონმა ჭადრაკში ამ წოდების მოსაპოვებლად 31 მატჩი ითამაშა.

მსოფლიოს პირველმა ჩემპიონმა ვილჰელმ სტეინიცმა 1886 წლიდან მოყოლებული 6 მატჩში მიიღო მონაწილეობა. მან მოიგო 43 პარტია, ამდენივე წააგო და 42 ყაიმით დაასრულა. ერთი სიტყვით, სტეინიცის მონაცემები, მეტი რომ არა ვთქვათ, მაინცდამაინც დამაჯერებელი ვერ არის. მან 4 მატჩი მოიგო და 2 წააგო.

ემანუელ ლასკერმა 8 მატჩიდან 6 დამაჯერებლად მოიგო, 1 ყაიმით დაასრულა და ერთიც წააგო. საბოლოო ანგარიშით მან მოიგო 52 პარტია, წააგო 16 და 44 შეხვედრაში მეტოქეებს დაუზავდა.

სულ ორი მატჩი ითამაშა მსოფლიოს პირველობაზე ხოსე რაულ კაპაბლანკამ. მან 7 პარტია მოიგო, 6 წააგო და 35 ყაიმით დაამთავრა. არც ისე დამაჯერებელი შედეგებია.

ალექსანდრე ალიოხინმა 5 მატჩი ითამაშა უმაღლეს დონეზე: 44 პარტია მოიგო, 21 წააგო და 73 ყაიმით დაასრულა. ალიოხინმა 4 მატჩი მოიგო და 1 წააგო.

მაქს ეივემ ორ მატჩში 13 პარტია მოიგო, 18 წააგო, 24 ყაიმით დაამთავრა.

მიხეილ ბოტვინიკმა მსოფლიოს პირველობაზე რვაჯერ ითამაშა (7 მატჩი და 1 მატჩ-ტურნირი). მან მოიგო 44 პარტია, წააგო 41 და 90 ყაიმით დაასრულა. ამ მატჩებში (და მატჩ-ტურნირში) ბოტვინიკმა გაიმარჯვა სამჯერ, ამდენჯერვე დამარცხდა და ორი შეხვედრა ყაიმით დაასრულა.

სამჯერ (და სამჯერვე ბოტვინიკთან) ითამაშა მსოფლიოს მეშვიდე ჩემპიონმა ვასილ სმისლოვმა. მისი შედეგები ასეთია: 18 მოგება, 17 წაგება და 34 ყაიმი.

მიხეილ ტალმა ორი მატჩი ითამაშა (ორივე ბოტვინიკთან). საერთო შედეგი უარყოფითია: 11 მოგება, 12 წაგება და 19 ყაიმი.

ტიგრან პეტროსიანმა სამ მატჩში 13 პარტია მოიგო, 11 წააგო და 45 ყაიმით დაასრულა.

უარყოფითი მაჩვენებლები აქვს ბორის სპასკისაც, რომელმაც მსოფლიოს პირველობაზე სამი მატჩი ითამაშა. მან 12 პარტია მოიგო (აქედან ერთში, რობერტ ფიშერთან, მოგება უბრძოლველად ჩაეთვალა, რადგან მისი მეტოქე სათამაშოდ არ გამოცხადდა), 15 წააგო და 41 ყაიმით დაამთავრა.

რობერტ ფიშერმა მსოფლიო პირველობაზე ნათამაშებ ერთადერთ მატჩში (სპასკისთან) 7 პარტია მოიგო, 3 წააგო და 11 ყაიმით დაამთავრა.

მსოფლიოს მეთორმეტე ჩემპიონმა ანატოლი კარპოვმა ვიქტორ კორჩნოისთან ორ მატჩში 12 პარტია მოიგო, 7 წააგო და 31 ყაიმით დაასრულა.

გივი გამრეკელი.

თბილისის ნორჩი ჩემპიონები

დამთავრდა თბილისის მოსწავლეთა პირველობა ჭადრაკში.

გოგონათა ტურნირში 18 ნორჩი მოჭადრაკე ჩაება. 14 ქულით გაიმარჯვა ნინო ჯარიაშვილმა (გარდაბნის რაიონი, სოფელი სართიჭალა), რომელიც ამ შეჯიბრებაში კონკურსგარეშე გამოდიოდა. ჩემპიონის სახელი მოიპოვა მე-18 საშუალო სკოლის მეხუთე კლასის მოსწავლემ ნათია ჯანჯღავამ (მწვრთნელი რეზო მეგრელაძე) — 13,5 ქულა.

ჭაბუკთა შეჯიბრებაში ყველას აჯობა 22-ე საშუალო სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლემ კამო ავეტისოვმა (მწვრთნელი არჩილ წერეთელი) — 15,5 ქულა (17-დან).

ორივე ნორჩი ჩემპიონი თბილისის განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა საჭადრაკო სპორტული სკოლის აღსაზრდელია.

ქეთევან გოგელაური.

რიგგარეშე მეცადინეობა

ჭადრაკის მოყვარულებმა იციან, რომ 1984 წლის ოქტომბერში მუშაობა განაახლა ჭადრაკის კულტურის რესპუბლიკურმა სახალხო უნივერსიტეტმა. გამოჩენილ მოჭადრაკეთა და სპორტის მოღვაწეთა ლექციებს ბევრი მსმენელი ჰყავს და ისინი დიდი ინტერესით ელიან ყოველ ახალ მეცადინეობას. სწორედ ამიტომ, უნივერსიტეტის რექტორატმა გადაწყვიტა ჩაატაროს რიგგარეშე მეცადინეობა, რომელიც შედგება 12 იანვარს, 16 საათზე, ჭადრაკის რესპუბლიკური სასახლის სააქტო დარბაზში.

ამჯერად ლექციებს წაიკითხავენ პროფესორი ავთანდილ ციბაძე („ფიზიკური კულტურა და სპორტი საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში") და საერთაშორისო დიდოსტატი თამაზ გიორგაძე („სადებიუტო სტრატეგიის პრინციპები").

13 იანვარს, 11 საათზე, სემინარულ მეცადინეობებს ჩაატარებენ: საერთაშორისო ოსტატი ელიზბარ უბილავა (დახელოვნების ფაკულტეტზე), რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი შოთა ინწკირველი (ინსტრუქტორ-მწვრთნელების ფაკულტეტზე), საერთაშორისო არბიტრი ევგენი მელიქსეთ-ბეგი (ინსტრუქტორ-ორგანიზატორების ფაკულტეტზე).

მკითხველი — გაზეთი

რომელი წლიდან მონაწილეობენ საბჭოთა სპორტსმენები ევროპის ჩემპიონატებში, ყოფილან თუ არა მათ შორის საქართველოს წარმომადგენლები? გარდა ამისა გვინდა ვიცოდეთ როგორი შედეგებით აღინიშნა საბჭოთა სპორტსმენების დებიუტი ევროპულ სარბიელზე?

ა. ოყროშიძე, რ. ბანძელაძე,
ა. დაუშვილი, თბილისი.

— 1946 წელს ოსლოში გაიმართა ევროპის მძლეოსანთა ჩემპიონატი, რომელშიც საბჭოთა სპორტსმენებმაც იასპარეზეს. ამ ტურნირის პირველი ოქროს მედალი მოიპოვა ტ. სევრიუკოვამ (ბირთვის კვრაში 14.16 მ). მასთან ერთად ევროპის ჩემპიონები გახდნენ: ბადროს ტყორცნაში ჩვენი თანამემამულე ნ. დუმბაძე — 44,52 მ, შუბის ტყორცნაში კ. მაიუჩაია — 46,25 მ, ნ. კარაკულოვი 200 მ. რბენაში — 21,6, ე. სეჩენოვა 100 (11,9) და 200 (25,4) მეტრზე რბენაში. ასე რომ, ე. სეჩენოვა იყო პირველი საბჭოთა სპორტსმენი, რომელმაც ერთ შეჯიბრებაში ევროპის ჩემპიონის ორი ოქროს მედალი მოიპოვა.

1947 წელს ევროპის ჩემპიონატი სპორტის კიდევ სამ სახეობაში გაიმართა (საბჭოთა სპორტსმენების მონაწილეობით).

კალათბურთელთა ტურნირი მოეწყო პრაღაში. სსრ კავშირის ნაკრებმა ჩემპიონობა მოიპოვა. გამარჯვებული გუნდის შემადგენლობა: ე. ალექსეევი, ს. ბუტაუტასი, ო. ქორქია, ნ. ჯორჯიკია, ვ. კოლპაკოვი, ა. კონევი, ვ. კულაკაუსკასი, ი. კულამი, ი. ლისოვი, ი. ლაგუნავიჩუსი, ა. მოისეევი, კ. პეტკიავიჩუსი, ს. ტარასოვი, ი. უმაკოვი, გუნდის უფროსი მწვრთნელი ს. სპანდარიანი.

ჰელსინკში ძალოსნებმა იასპარეზეს. ჩემპიონები გახდნენ: მჩატე წონაში — ი. აზდაროვი (295,5 კგ), მსუბუქში — ი. მეხანიკი (330 კგ), საშუალოში—ნ. შატოვი (367,5 კგ), ქვემძიმეში — გ. ნოვაკი (410 კგ), მძიმეში — ი. კუცენკო (432,5 კგ).

1947 წელს პრაღაში ევროპის კიდევ ერთი ჩემპიონატი ჩატარდა, ამჯერად კლასიკურ ჭიდაობაში. სამმა საბჭოთა ათლეტმა — ნ. ბელოვმა (საშუალო წონა), კ. კობერიძემ (ქვემძიმე) და ი. კოტსკასმა (მძიმე) პირველი ადგილი დაიკავეს. გუნდის დანარჩენი წევრები შემდეგ ადგილებზე გავიდნენ: ა. კარაპეტიანი (უმჩატესი) — VII, ი. კაუბი (მჩატე) — IV, ა. სოლოვოვი (ქვემსუბუქი) — XII, ა. იალტირიანი (მსუბუქი) — II, ვ. კოჟარსკი (ქვესაშუალო) — III. ნაკრების მწვრთნელები იყვნენ: ა. კატულინი და ვ. სოკოლოვი.

კალეიდოსკოპი

ოთხი ოლიმპიადის მონაწილე

ცნობილი იტალიელი სპრინტერი, ოლიმპიური ჩემპიონი და მსოფლიო რეკორდსმენი პიეტრო მენეა თავს ანებებს დიდ სპორტს. ასეთი გადაწყვეტილება მან ერთხელ უკვე მიიღო მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვების შემდეგ, მაგრამ მაშინ პირობა ვერ შეასრულა. ახლა მისი გადაწყვეტილება საბოლოოა — 32 წლის მძლეოსანი აღარ გამოვა სარბენ ბილიკზე.

მენეა 16 წლის განმავლობაში კეთილსინდისიერად ემსახურებოდა სპორტს, იყო ოთხი ოლიმპიური თამაშების მონაწილე, ბოლო ორ ოლიმპიადაში მოიპოვა ერთი ოქროს და ორი ბრინჯაოს მედალი. მენეას ახლაც საკმაოდ მაღალი შედეგები ჰქონდა 200 მეტრზე რბენაში. სეზონის მიწურულს აჩვენა — 20,07 და 20,09. მიმომხილველების აზრით მენეას დღესაც ნებისმიერი რანგის ტურნირში შეუძლია საპრიზო ადგილზე გასვლა.

უმნიშვნელო სიახლეები

ევროპის მოკრივეთა მორიგ, 26-ე ჩემპიონატს (ჩატარდება 25 ივნისს—2 ივლისს) უნგრეთის დედაქალაქი ბუდაპეშტი უმასპინძლებს. უნგრელებმა უკვე ფართო მოსამზადებელი მუშაობა გააჩაღეს.

ადვილი შესაძლებელია, რომ ამ ჩემპიონატს მოემსახურონ მსაჯი—რობოტები. ისინი გვერდით არბიტრებს ქულების აღრიცხვაში დაეხმარებიან.

სპეციალისტების აზრით დამცველი ჩაფხუტების ხმარება არ იქნება სავალდებულო. ლოს-ანჯელესის ოლიმპიური თამაშების გამოცდილებამ ცხადყო, რომ დამცველი ჩაფხუტი მოკრივეს უფრო ხელს უშლის, ვიდრე ეხმარება. ამიტომ მათი გამოყენება არ იქნება სავალდებულო. თუ ვინმე მოისურვებს ჩაფხუტით ბრძოლას, შეიძლება იხმაროს კიდეც იგი.

ლიუცერნი სწავლობს და ემზადება

შვეიცარიის ქალაქმა ლიუცერნმა 1988 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლად თავისი კანდიდატურა წამოაყენა. ოფიციალურ განაცხადს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სახელზე ქალაქის თვითმმართველობა გაგზავნის 1985 წლის 3 მარტს. მანამდე სპეციალურმა კომისიამ უნდა შეადგინოს ანგარიში და დეტალურად დაასაბუთოს თავისი უფლებები.

ადგილობრივი პრესის აზრით შვეიცარიაში მრავლად არის უმაღლესი ხარისხის სპორტული ბაზები. საჭირო იქნება მხოლოდ მათი ნაწილობრივი შეკეთება, რაც დიდ ხარჯებს არ მოითხოვს. ახლა შვეიცარიელი ექსპერტები გულმოდგინედ სწავლობენ სარაევოს გამოცდილებას. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან ბოლო ოლიმპიადა შვეიცარიაში 1948 წელს ჩატარდა, მას შემდეგ კი კარგა დიდი დრო გავიდა.

ნაადრევი გარანტია

ავსტრალიის ოლიმპიური ფედერაცია დარწმუნებულია, რომ 1992 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ჩატარების უფლებას მიიღებს ქალაქი ბრისბენი. ჩვენ, — განაცხადა ამ ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა სიდ გრანჟმა — შეგვიძლია შევქმნათ იდეალური პირობები თამაშების ნორმალურად ჩასატარებლად. ავსტრალია ჯერ ერთი, მუდამ ერთგული იყო ოლიმპიზმის იდეალებისა, მეორეც — დღევანდელ აფორიაქებულ მსოფლიოში არსად არ არის ისეთი სტაბილური პოლიტიკური ვითარება, როგორიც ავსტრალიაში.

ამ აზრს ეჭვის ქვეშ აყენებს ფრანს პრესის სააგენტოს მიმომხილველი. მისი თქმით კაცმა არ იცის როგორ, და რაც მთავარია, რომელი მიმართულებით შეიცვლება ქვეყნის პოლიტიკური სიტუაცია 1992 წლისათვის.

ორი მთავარი პრეტენდენტი

ინგლისსა და გფრ-ს გადაწყვეტილი აქვთ უმასპინძლონ 1988 წლის ფეხბურთელთა ევროპული ჩემპიონატის ფინალს. ინგლისისთვის ეს იქნება ყველაზე პრესტიჟული ტურნირი 1966 წლის ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ. „ჩვენ ამ საუკუნეში ალბათ ველარ გავხდებით მსოფლიო ჩემპიონები, — განაცხადა ინგლისის ფეხბურთის ფედერაციის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, — ევროპის ჩემპიონატის მოგების შანსები კი აშკარად გვაქვს. ამიტომ ხელიდან არ უნდა გავუშვათ იგი“.

დაახლოებით ასე ფიქრობს დასავლეთგერმანული ფედერაციაც, რომელსაც მიმომხილველთა აზრით, საერთაშორისო ფედერაციაში უფრო მეტი მხარდამჭერი ჰყავს, ვიდრე ინგლისს. სპეციალისტების აზრით, მთავარი ბრძოლა პრიორიტეტისათვის სწორედ ამ ორ ქვეყანას შორის გაიმართება. არა და ჩემპიონატის ორგანიზაციაზე პრეტენზიას აცხადებენ ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებიც, კერძოდ, ფინეთი, დანია, შვეცია, ნორვეგია და ასე გასინჯეთ, ისლანდიაც.

ახალი ხელმძღვანელობა

ამას წინათ გაიმართა თანამედროვე ხუთჭიდისა და ბიატლონის საერთაშორისო კავშირის ალმასკომის არჩევნები. საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტად კვლავ სვენ ტოფელტი (შვეცია) აირჩიეს. დამტკიცდა ვიცე-პრეზიდენტების კანდიდატურებიც. პირველ ვიცე-პრეზიდენტად არჩეულია იგორ ნოვიკოვი (სსრ კავშირი), მეორე ვიცე-პრეზიდენტებად ემილ ჟარო (საფრანგეთი, ხუთჭიდი) და რობერ გალეზო (საფრანგეთი, ბიატლონი).

ალმასკომის სხდომამ განიხილა სპორტსმენთა მიერ აღმგზნები სტიმულატორების მიღების ცალკეული შემთხვევები და მკაცრად დასაჯა დამნაშავეები.

კალეიდოსკოპი



დე სისტი

ვალკარეჯიმ შეცვალა

ფლორენციის „ფიორენტინას“ მწვრთნელის დე სისტის გადადგომის შემდეგ კლუბის ხელმძღვანელობა ამ პოსტზე რამდენიმე კანდიდატს ასახელებდა. საბოლოოდ არჩევანი შეჩერდა 65 წლის ფერუჩო ვალკარეჯიზე, რომელიც უწინ იტალიის ნაკრებს ედგა სათავეში. მისი ხელმძღვანელობით ამ გუნდმა ვერცხლის მედლები მოიპოვა 1970 წელს მექსიკაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში.

ბეკენბაუერს მწვრთნელის დიპლომი გადაეცა

ამ რამდენიმე დღის წინ გფრ-ის ფეხბურთელთა ნაკრების ხელმძღვანელს ფრანც ბეკენბაუერს გადაეცა მწვრთნელის პირველი ხარისხის დიპლომი. ამიერიდან იგი ვალდებული აღარ არის იაროს კურსებზე და ჩააბაროს გამოცდები.

ასეთი გადაწყვეტილებისათვის სასტიკად გააკრიტიკეს დასავლეთ გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ჰერმან ნოიბერგერი, რომელმაც ჟურნალისტებთან საუბარში ასე გაიმართლა თავი: „ჩემი აზრით, ბეკენბაუერი საკმაოდ კარგად ერკვევა ფეხბურთის საკითხებში“.

ფრანჩესკოლი — №1

სამხრეთ ამერიკის 1984 წლის № 1 ფეხბურთელად ჟურნალისტებმა მიიჩნიეს ურუგვაის ნაკრების წევრი ენცო ფრანჩესკოლი. მან თავი გამოიჩინა სამხრეთ ამერიკის უკანასკნელ ჩემპიონატში.

პლატინი „საპატიო ლეგიონის“ კავალერია

ფრანგულ ფეხბურთში დიდი დამსახურებისათვის მიშელ პლატინის „საპატიო ლეგიონის“ ორდენი მიენიჭა. ეს პირველი შემთხვევაა, როცა ფეხბურთელს ასეთი პატივი ხვდა წილად.

მარტში გამოაცხადებს

ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელის პოსტზე ხელახლა დანიშნულმა ტელე სანტანამ განაცხადა, რომ გუნდის შემადგენლობას იგი მხოლოდ მარტში გამოაცხადებს, ესე იგი მას შემდეგ, რაც საუდის არაბეთის საკლუბო გუნდ „ალ ალისთან“ მის კონტრაქტს ვადა გაუვა.

სანტანამ ისიც თქვა, რომ ბოლივიელებთან და პარაგვაელებთან მსოფლიო პირველობის შესარჩევი მატჩების ჩატარებამდე (ეს თამაშები იენისში გაიმართება) მან ამხანაგური შეხვედრების სერია დაგეგმა. ბრაზილიელები ორჯერ შეხვდებიან ურუგვაელებს (1 მაისს რიოდე-ჟანეიროში და 5 მაისს მონტევიდეოში). შემდეგ ისინი ითამაშებენ კოლუმბიელებთან (19 მაისს ბოგოტაში) და ეკვადორელებთან (26 მაისს კიტოში).

იუგოსლაველები „ნერუს თასის“ გათამაშებაში

ბელგრადში გამართულ პრეს-კონფერენციაზე იუგოსლავიის ნაკრების მწვრთნელმა მილოშ მილუტინოვიჩმა განაცხადა, რომ მისი გუნდის ტურნე ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში აღარ გაიმართება. ამის ნაცვლად იუგოსლაველი ფეხბურთელები გაემგზავრებიან ინდოეთში, სადაც მონაწილეობას მიიღებენ „ნერუს თასის“ ტრადიციულ გათამაშებაში (11-27 იანვარი).

კანადელთა წარუმატებელი ტურნე

დეკემბერში კანადის ფეხბურთელთა ნაკრებმა იმოგზაურა ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებსა და კიპროსში. კანადელებმა აფრიკაში ყველა მატჩი წააგეს: ალჟირელებთან ანგარიშით — 0:1, ტუნისელებთან — 0:2, მაროკოელებთან — 0:3, ხოლო კიპროსელებთან ფრედ ითამაშეს — 1:1.

პერიმენის 600 მატჩი

სტივ პერიმენმა თავისი მე-600 მატჩი ჩაატარა ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურის“ შემადგენლობაში. პერიმენი, რომლის თამაში ათიოდე წლის წინათ თბილისელებსაც უნახავთ, „ექვსასიანთა კლუბის“ მეოცე წევრია. ეს კლუბი კარგა ხანია არსებობს ინგლისში. მისი წევრობისთვის აუცილებელია ყველა მატჩი ერთი კლუბის შემადგენლობაში ჩაატარო. კლუბის წევრები არიან ძმები ჯეკი (თამაშობდა „ლიდს იუნაიტედში“) და ბობი („მანჩესტერ იუნაიტედი“) ჩარლტონები, ხოლო რეკორდსმენად ითვლება ჯონ ტროლპი — 1960-1980 წლებში მან 770 მატჩი ითამაშა „სუინდონ თაუნის“ მაისურით.

„ბაიერნი“ ეგვიპტეში

დასავლეთ გერმანიის თასის მფლობელმა და მიმდინარე ეროვნული პირველობის ლიდერმა, მიუნჰენის „ბაიერნმა“ ისარგებლა თავისი ქვეყნის ჩემპიონატში გამოცხადებული ზამთრის შესვენებით და ამხანაგური მატჩების გასამართავად ეგვიპტეს გაემგზავრა. პირველი მატჩი მიუნჰენელებმა კაიროში გამართეს — შეხვდნენ ეგვიპტის ჩემპიონსა და აფრიკის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელს, ადგილობრივ „ზამალეკს“. სტადიონზე მოსული 20 ათასი მაყურებლის გასახარად მასპინძლებმა გაიმარჯვეს — 2:1. გამარჯვებულთაგან გოლები გაიტანეს ჰილმიმ და აბდელ-ვაჰედმა, ხოლო დამარცხებულთაგან მათეუსმა. მეორე მატჩში „ბაიერნმა“ ამავე ანგარიშით (2:1) მოუგო კაიროს „ნაციონალს“.

ალექსანდრე ბოჭორაძე

გარდაიცვალა რესპუბლიკური
კატეგორიის მსაჯი ფეხბურთშ
ალექსანდრე (ბიჭიკო) ილია
ბოჭორაძე.
გამოაკლდა ჩვენს რიგებს ფ
ხბურთის ერთგული და მცოდ
მუშაკი, რომელმაც თავისი ხან
მოკლე ცხოვრება საყვარელ ს
ქმეს შეალია. ა. ბოჭორაძემ 196
წელს დაამთავრა თბილისის სპო
რტული სკოლა-ინტერნატი.
იმავე წელს განაგრძო სწავლა ს
ქართველოს სახელმწიფო ფიზი
კური კულტურის ინსტიტუტ
ფეხბურთის სპეციალობით. 197
წელს დაამთავრა უმაღლესი ს
სწავლებელი, შემდეგ კი საბჭო
თა არმიის რიგებში მსახურობდ
ა. ბოჭორაძე ბავშვობიდან გ
იტაცა ფეხბურთმა, თამაშობდ
სკოლა-ინტერნატის, ფიზიკურ
კულტურის ინსტიტუტისა დ
თბილისის არმიის სპორტკლუბ
გუნდებში. არმიიდან დემობილ
იზაციის შემდეგ მუშაობდა საქ
რთველოს ალკკ თბილისის კ
მიტეტის ინსტრუქტორად, ხოლ
1976 წლიდან საქართველოს სპო
რტკომიტეტის ახალგაზრდული ს
ფეხბურთო სკოლის მწვრთნელ
იყო, 1984 წელს წვრთნიდა საქ
რთველოს „იმედის“ ნაკრე
გუნდს. აქტიურად მონაწილეობ
საზოგადოებრივ საქმიანობაშ
ახალგაზრდა სპეციალისტ
გულისხმიერი, პატიოსანი, შრ
მისმოყვარე ადამიანის ალექსა
დრე ბოჭორაძის სახელი მუდ
ემახსოვრებათ ახლობლებსა დ
მეგობრებს.

საქართველოს სსრ
ფეხბურთის ფედერაცია

რედაქტორი ა. გოზელია

ეკრანზე და ეთერში

ტელევიზიისა და რადი
სპორტული გადაცემები.
ცენტრალური ტელევიზია.
იანვარი. „სპორტლოტოს“ ტი
ჟი — **10.20** (1); რიტმული ტ
ნვარჯიში **9.30** (2); სსრ კავ
რის ჩემპიონატი ბურთიან ჰ
კეიში — **15.00** (2); სსრ კავშირ
ჩემპიონატი კალათბურთში: ც
— ვეფ-ი (რიგა) — **19.50** (
„ჟალგირისი“ (კაუნასი) — „ს
რტაკი“ (ლენინგრადი) — **21**
(2); საკავშირო შეჯიბრება ს
ხილამურო სპორტში — **20**
(2); საფეხბურთო მიმოხილვა
23.25 (1).
საქართველოს ტელევიზ
6 იანვარი. შეხვედრა მაია ჩი
რდანიძესთან — **20.35**; სსრ კ
შირის ჩემპიონატი კალათბუ
თში. „დინამო“ (თბილისი)
ვეფ-ი (რიგა) — **22.55** (5 ია
რის მატჩის ვიდეოჩანაწერი).
საკავშირო რადიო. 6 იან
რი. სპორტული დღიური
23.40 (1); სსრ კავშირის ჩე
ონატი კალათბურთში: ცსკა
ვეფ-ი (რიგა) — **20.20** („ზ
აკი“); „ჟალგირისი“ (კაუნასი)
„სპარტაკი“ (ლენინგრადი)
21.50 („მაიაკი“).
საქართველოს რადიო.
იანვარი, რადიოჟურნალი „ფ
კულტურა და სპორტი“ — **14**
(1); სსრ კავშირის ჩემპიო
კალათბურთში. „დინამო“ (
ლისი) — „სტროიტელი“ (კ
— **19.30** (1).



უსიტყვოდ...



ვახტანგ კუციასა და ნოდარ ხოდელის ნახატები.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. № 14
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52
წერილების განყოფილება — 93-97-55
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53
[illegible] — 93-97-27, [illegible] — 93-97-26

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორ
დენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფ
ტური წესით საგაზეთო კორპუსში ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22.